დანართი

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში ელექტრონული ფორმით სასერტიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული პროცედურები

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ინსტიტუტის სათანადოდ მოწყობილ საგამოცდო ოთახში. ინსტიტუტის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება დადგინდეს გამოცდის ჩატარების სხვა ადგილიც.

2. კანდიდატის გამოცდაზე დაშვება ხორციელდება სერტიფიცირებისა და ტრენინგების სამსახურის მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. გამოცდაზე შეიძლება მიღებულ იქნეს კანდიდატთა მთლიანი ჯგუფი ან მისი ნაწილი. კანდიდატთა რაოდენობა განისაზღვრება საგამოცდო ოთახის ფართობისა და აღჭურვილობის, აგრეთვე ყველა კანდიდატის ქცევისადმი ზედამხედველობის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით, რომელიც ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით. გამოცდისათვის დადგენილია საგამოცდო ტესტებზე სამუშაო დრო და გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად საჭირო გამსვლელი ქულათა ოდენობა.

4. საგამოცდო სისტემაში კანდიდატის დარეგისტრირება ხდება გამოცდის თარიღის მიხედვით, რომლის დროსაც ენიჭება შესაბამისი 6-ნიშნა უნიკალური კოდი. უნიკალური კოდი კანდიდატს ეძლევა გამოცდის დაწყების მომენტში. სისტემაში შესასვლელად საჭიროა კანდიდატის პირადი ნომრის და 6-ნიშნა უნიკალური კოდის მითითება. კანდიდატის პირადი ნომრის და შესაბამისი 6- ნიშნა უნიკალური კოდის მითითების შემდეგ შესაბამის ღილაკზე მონიშვნით კანდიდატი ეცნობა გამოცდის წესებს და პირობებს და იწყებს გამოცდას. ღილაკზე ,,გამოცდის დაწყება“ დაჭერის მომენტიდან იწყება გამოცდისთვის განკუთვლი დროის ათვლა.

5. საგამოცდო ტესტი შედგება 60 კითხვისგან. თითოეული კითხვა წარმოდგენილია 4 სავარაუდო პასუხით. კანდიდატმა კომპიუტერის მონიტორზე გამოტანილი თითოეული საგამოცდო ტესტის სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს და დააფიქსიროს მხოლოდ ერთი პასუხი. ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება – 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი – 0 ქულით. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრულ სამუშაო დროში უნდა დააგროვოს გამსვლელ ქულათა ოდენობა.

- ღილაკით ,,გამოტოვება“ შესაძლებელია კითხვის გამოტოვება და გადასვლა შემდეგზე, პასუხის მონიშვნის გარეშე. ღილაკით ,,წინა საკითხი“ შესაძლებელია წინა კითხვაზე გადასვლა. პასუხის დაფიქსირება და შემდეგ კითხვაზე გადასვლა ხორციელდება ,,შემდეგი“ ღილაკის საშუალებით.

- გამოცდის დასრულებამდე შესაძლებელია ნებისმიერ კითხვაზე დაბრუნება და პასუხის შეცვლა და თავიდან დადასტურება.
- კითხვა, რომელსაც უკვე პასუხი გაეცა, მოინიშნება ღია მწვანედ, კითხვა, რომლის გამოტოვებაც მოხდა ან რომელზეც გასაცემია პასუხი - მონიშნულია თეთრად, ხოლო კითხვა, რომელიც აქტიურია და უნდა გაეცეს პასუხი - მოინიშნება მუქ მწვანედ.

- მე-60 კითხვაზე გადასვლით, პასუხის მონიშვნითა და ,,შემდეგი“ ღილაკზე დაჭერით გამოიტანება ფანჯარა, სადაც კითხვების და პასუხების გარეშე მოცემულია კანდიდატის მიერ პასუხგაცემული და გამოტოვებული კითხვები.

- ღილაკით ,,უკან დაბრუნება“ გამოცდის დასრულებამდე შესაძლებელია ტესტზე დაბრუნება, კითხვებზე პასუხების შეცვლა და დაფიქსირება.

- ღილაკით ,,გამოცდის დასრულება“ სრულდება გამოცდა და გამოცდის შედეგები გამოიტანება შემდეგ გვერდზე. მონიტორზე აისახება საგამოცდო ტესტებზე გაცემული როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების რაოდენობა.

6. საგამოცდო ტესტებზე სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ, კანდიდატის მიერ საგამოცდო ტესტებზე გაცემული პასუხების შეჯამდება და შედეგები ცხრილის სახით აისახება კომპიუტერის მონიტორზე და ასევე იგზავნება კანდიტატის მიერ განაცხადის შევსების დროს მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. კანდიდატს უფლება აქვს, წერილობითი ფორმით მოითხოვოს სასერტიფიკაციო გამოცდაზე მის მიერ დაშვებული შეცდომის ამსახველი საგამოცდო ტესტების კომპიუტერული ამონაბეჭდიც.